

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის  
სტრატეგიული გეგმა  
2015-2019

## სარჩევი

აბრევიატურები.....	3
შესავალი .....	4
საარჩევნო ადმინისტრაცია .....	7
საარჩევნო ადმინისტრაციის მისია, ხედვა და სამოქმედო პრინციპები .....	9
საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმა.....	10

## აბრევიატურები

ცესკო - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

სსკ - საოლქო საარჩევნო კომისია

სკ - საუბნო საარჩევნო კომისია

EPMS - საარჩევნო პროცესების მართვის სისტემა

IFES - საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი

უსკო - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია

ცესკოს ტრენინგ ცენტრი - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

კომიტეტი - სტრატეგიული დაგეგმარების კომიტეტი

ძირითადი გუნდი - სტრატეგიული დაგეგმარების ძირითადი გუნდი

## შესავალი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) დღეს გამორჩეულად მაღალი ნდობით სარგებლობს საზოგადოებაში. მაღალპროფესიულ დონეზე ჩატარებულმა არაერთმა არჩევნებმა ცესკოს მიმართ საზოგადოების ნდობა აამაღლა და ორგანიზაციის იმიჯი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, კიდევ უფრო განამტკიცა. 2014 წლის აგვისტოში საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, ცესკო ლიდერობს იმ სახელმწიფო ინსტიტუტთა ჩამონათვალში, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის აზრით, ყველაზე ეფექტურად მუშაობენ ქვეყანაში<sup>1</sup>. საარჩევნო ადმინისტრაცია აცნობიერებს ამ პასუხისმგებლობას და გეგმავს, რომ კიდევ უფრო ეფექტურად ჩატარებული არჩევნები შესთავაზოს საქართველოს მოსახლეობას.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ. ამ რეალობამ ადმინისტრაცია ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. წინა სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტებისაგან განსხვავებით ცესკოს დღეს სულ სხვა ამოცანები აქვს. აქედან გამომდინარე, თვითმმართველობის არჩევნების დასრულებისთანავე საარჩევნო ადმინისტრაციამ დაიწყო განვლილი საქმიანობის შეფასება და მზადება მომავალი არჩევნებისთვის. ამ მიზნით ცესკოს ხელმძღვანელობამ ჩაატარა შეხვედრები ადმინისტრაციის ყველა დონეზე, რათა მომხდარიყო მიმდინარე საქმიანობის ანალიზი, ორგანიზაციის წინა სტრატეგიული გეგმის გადახედვა და განვითარების ახალი პრიორიტეტების დასახვა. ამ პროცესში გადაწყდა, საარჩევნო ადმინისტრაციას შეექმნა სრულფასოვანი გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც გახდებოდა ორგანიზაციის მუშაობის ქვაკუთხედი და იქნებოდა გზამკვლევი დოკუმენტი არჩევნებში ჩართული ყველა მხარისთვის მომდევნო 5 წლის განმავლობაში.

სტრატეგიული გეგმის მოსამზადებლად შეირჩა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება 8-ფაზიან ციკლს. ეს მეთოდი წარმატებით იქნა გამოყენებული მსოფლიოს არაერთი ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების მიერ. სტრატეგიული გეგმის შემუშავების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

0. პროცესის ინიცირება
1. სტრატეგიის შემუშავების სამოქმედო გეგმის განსაზღვრა
2. ადმინისტრაციის სტრატეგიული საფუძვლების განსაზღვრა
3. ორგანიზაციული შეფასება
4. სტრატეგიული პრიორიტეტების და მიზნების განსაზღვრა
5. კონსულტაციები ჩართულ მხარეებთან
6. სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავება და დამტკიცება
7. სტრატეგიული გეგმის თანამშრომლებამდე დაყვანა
8. აღსრულება

---

<sup>1</sup> საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2014 წლის აგვისტოს კვლევის შედეგები, ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ [https://www.ndi.org/files/NDI\\_Georgia\\_August-2014-survey\\_Public-Issues\\_GEO\\_VF.pdf](https://www.ndi.org/files/NDI_Georgia_August-2014-survey_Public-Issues_GEO_VF.pdf)

**0. პროცესის ინიცირება** - საარჩევნო ადმინისტრაციის ხუთწლიანი სტრატეგიის შექმნის მიზნით, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, საარჩევნო ადმინისტრაციაში შეიქმნა სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორი სპეციალური სამუშაო ჯგუფი: ა) სტრატეგიული დაგეგმარების კომიტეტი და ბ) ძირითადი გუნდი. კომიტეტი შედგებოდა 11 წევრისგან, აქედან 6 - ცესკოს წევრი და 5 - აპარატის თანამშრომელი. ძირითადი გუნდი შედგებოდა 6 წევრისგან, აქედან 2 - ცესკოს წევრი და 4 - აპარატის თანამშრომელი. განისაზღვრა ჯგუფების მუშაობის წესი და პროცედურები.

საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესის ფასილიტაცია ითავა IFES-ის საქართველოს ოფისმა.

**სტრატეგიული დაგეგმარების კომიტეტი:** თამარ ჟვანია (თავმჯდომარე), ცესკოს თავმჯდომარე; გიორგი შარაბიძე, ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე; თამაზ შარმანაშვილი, ცესკოს წევრი; დავით გურგენიძე, ცესკოს წევრი; ემზარ კაკულია, ცესკოს წევრი; ირაკლი ხორბალაძე, ცესკოს წევრი; არჩილ ანასაშვილი, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი; სოფიო სიჭინავა, კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტის უფროსი; ქეთევან დანგაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი; ელისაბედ ველიძე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი; ნათია ზაალიშვილი, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორი.

**ძირითადი გუნდი:** ნათია ჯიქია (ჯგუფის კოორდინატორი), თავმჯდომარის მრჩეველი; თამაზ შარმანაშვილი, ცესკოს წევრი; კონსტანტინე კირვალიძე, ცესკოს წევრი; ოთარ ბუსკივაძე, დაგეგმვისა და შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი; ქეთევან დანგაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი; ნათია ზაალიშვილი, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორი.

ცესკოში სამუშაო ჯგუფების შექმნისთანავე გაკეთდა საჯარო განცხადება ორგანიზაციის მიერ სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესის ინიცირების შესახებ. იმავე საჯარო განცხადებაში აღინიშნა, რომ ცესკო უზრუნველყოფდა პროცესის გამჭვირვალობას და არჩევნებში ჩართულ მხარეთა მაქსიმალურ მონაწილეობას დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

**1. სტრატეგიის შემუშავების სამოქმედო გეგმის განსაზღვრა** - ძირითადი გუნდის მიერ, საზედადამხედველო კომიტეტთან თანამშრომლობით, განისაზღვრა სტრატეგიული გეგმის შემუშავების გრაფიკი, პასუხისმგებელი პირები და გაიწერა დეტალური სამოქმედო გეგმა.

**2. ადმინისტრაციის სტრატეგიული საფუძვლების განსაზღვრა** - სამუშაო ჯგუფების მიერ მოხდა საარჩევნო ადმინისტრაციის ფუნდამენტური სამოქმედო პრინციპების განსაზღვრა, მისიისა და ხედვის ფორმულირება.

**3. ორგანიზაციული შეფასება** - საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანიზაციული შეფასება რამდენიმე ეტაპად განხორციელდა: 1) 2014 წლის აგვისტოში, არჩევნების შემდგომ შეფასებით შეხვედრებზე, რომლებიც ჩატარდა ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიების (სსკ) მონაწილეობით, წერილობითი კითხვარები დაურიგდათ საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს, რათა ადმინისტრაციას მოესმინა მათი მოსაზრებები უწყების ძლიერ და სუსტ მხარეებზე და მათ ხედვაზე სამომავლო სტრატეგიასთან დაკავშირებით. შევსებული კითხვარები შეგროვდა, გაკეთდა მათი ანალიზი და იქ გამოთქმული მოსაზრებები მაქსიმალურად აისახა სტრატეგიულ გეგმაში. 2) ძირითადი გუნდი შეხვდა ცესკოს ყველა დეპარტამენტს, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს (ცესკოს სწავლების ცენტრი) და ცესკოს წევრებს. ამ შეხვედრებზე გაკეთდა ორგანიზაციისა და ცალკეული დეპარტამენტების მუშაობის ანალიზი,

გამოვლინდა საარჩევნო ადმინისტრაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრა განვითარების შესაძლებლობები და სავარაუდო საფრთხეები. გარდა ამისა, ძირითადად სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ყველა ანგარიში და საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელიც შეეხებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობას და, ზოგადად, არჩევნების ჩატარების ხარისხს საქართველოში.

**4.სტრატეგიული პრიორიტეტების და მიზნების განსაზღვრა** - გაწეული სამუშაოს შედეგად გამოიკვეთა ძირითადი ტენდენციები, რის საფუძველზეც შემუშავდა ადმინისტრაციის სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები.

**5.კონსულტაციები ჩართულ მხარეებთან** - მომზადებული დოკუმენტი შენიშვნებისთვის გადაეგზავნა არჩევნებში ჩართულ მხარეებს. 2014 წლის დეკემბერში საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა ძირითად გუნდს, კომიტეტს და არჩევნებში ჩართულ სხვა მხარეებს შორის. ჩატარდა შეხვედრები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, მედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე გამოითქვა მოსაზრებები საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით. ძირითადი გუნდის მიერ მოხდა ჩართული მხარეების გამოთქმული შენიშვნების განხილვა და მათი მაქსიმალურად ასახვა დოკუმენტის ტექსტში.

**6. სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავება და დამტკიცება** - ძირითადი სამუშაო ჯგუფის მიერ, ცესკოს დეპარტამენტებთან ერთად, განისაზღვრა ორგანიზაციის სტრატეგიული საქმიანობები, რაც გაიწერა სტრატეგიული დოკუმენტის ტექსტში. ასევე, დეპარტამენტებთან ერთად შედგა საქმიანობების განხორციელების გრაფიკი და განისაზღვრა მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთა სია.

ძირითადი გუნდის მიერ გაიწერება სტრატეგიის გეგმის შესრულების შეფასებისა და მონიტორინგის გეგმა, შემუშავდება გაზომვადი ინდიკატორები.

ცესკოს მიერ დამტკიცდა საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმა. ცესკო ასევე დაამტკიცებს სტრატეგიული გეგმის განხორციელების, შეფასებისა და მონიტორინგის გეგმებს.

**7.სტრატეგიული გეგმის თანამშრომლებამდე დაყვანა** - ძირითადი სამუშაო ჯგუფის მიერ, ასევე, დაიგეგმა სტრატეგიული გეგმის თანამშრომლებამდე დაყვანა, რაც ითვალისწინებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრებას საარჩევნო ადმინისტრაციის შიგნით სტრატეგიული საქმიანობების განხორციელების პროცესში. ამ მიზნით, ძირითადი სამუშაო ჯგუფი გეგმავს შეხვედრებს სსკ-ებთან.

სტრატეგიული გეგმა გამოქვეყნდება ცესკოს ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის.

**8. აღსრულება** - ძირითადი სამუშაო ჯგუფის მიერ გაიწერა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის გეგმა. ასევე, შემუშავდა სტრატეგიული გეგმის განხორციელების შუალედური პროგრესის შეფასების სისტემა. სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის პროცესში ძირითადი გუნდი რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციას სტრატეგიული დაგეგმარების კომიტეტს. სამუშაო პროცესში ძირითად გუნდსა და კომიტეტს შორის გაიმართა სამუშაო შეხვედრები, რომლებზეც მოხდა ძირითად თემებზე შეთანხმება. სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა არის ხანგრძლივი პროცესი და ითვალისწინებს ცესკოს მიერ ამ გეგმის დამტკიცების შემდეგ მისი მომზადებისა და განხორციელების ყველა ფაზის მუდმივ ანალიზს და, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

# საარჩევნო ადმინისტრაცია

## მანდატი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში თავისუფალია სხვა სახელმწიფო ორგანოების ზეგავლენისგან და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის შესაბამისად. საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს - მერის/გამგებლის არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას, მის ერთგვაროვნად გამოყენებას.

## სტრუქტურა

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება:

1. ცესკოსა და მისი აპარატისგან;
2. უსკოსა და მისი აპარატისგან;
3. საოლქო საარჩევნო კომისიებისგან;
4. საუბნო საარჩევნო კომისიებისგან.

## ცესკო

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა ცესკო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობს და აკონტროლებს ყველა დონის საარჩევნო კომისიებს.

ცესკო შედგება თავმჯდომარისა და 12 წევრისაგან. ცესკოს თავმჯდომარე იმავდროულად არის ცესკოს წევრი. ცესკოს 5 წევრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო 7 წევრს ნიშნავენ კვალიფიციური პოლიტიკური პარტიები. ცესკოს თავმჯდომარისა და საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრების უფლებამოსილების ვადაა 5 წელი.

სამართლიანი, სანდო, გამჭვირვალე არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს ცესკოს აპარატი, რომელიც მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით, ახორციელებს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ორგანიზაციულ, სამართლებრივ და ტექნიკურ მხარდაჭერას, ცესკოს საქმიანობის ხელშეწყობას.

## უსკო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია (უსკო) უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებას და ჩატარებას, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს აჭარის მთელ ტერიტორიაზე საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას.

## საოლქო საარჩევნო კომისია

საოლქო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საარჩევნო ოლქში უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას, აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას. საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს 76 საოლქო საარჩევნო კომისია. სსკ შედგება 13 წევრისგან. აქედან 5 მუდმივმოქმედი წევრს ნიშნავს ცესკო, საარჩევნო პერიოდში უფლებამოსილი პოლიტიკური პარტიების მიერ ინიშნება სსკ-ის კიდევ 7 წევრი, ხოლო ცესკო ნიშნავს დამატებით 1 წევრს.

## საუბნო საარჩევნო კომისია

საუბნო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითი ტერიტორიული ორგანო, რომელიც უფლებამოსილების ფარგლებში საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლემბისციტის გამართვას, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას, კენჭისყრის დროს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დაცვას, ამომრჩეველთა, წარმომადგენელთა და დამკვირვებელთა საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით გარანტირებული უფლებების გამოყენებასა და დაცვას. საქართველოს მასშტაბით საარჩევნო პერიოდში იქმნება დაახლოებით 3700 საუბნო საარჩევნო კომისია. სკ შედგება 13 წევრისგან. აქედან 6 წევრს ნიშნავს ზემდგომი საარჩევნო კომისია, ხოლო 7 წევრი ინიშნება უფლებამოსილი პოლიტიკური პარტიების მიერ.



# საარჩევნო ადმინისტრაციის მისია, ხედვა და სამოქმედო პრინციპები

## მისია

მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალპროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების ჩატარება კანონმდებლობის დაცვით და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა თავისუფლად განახორციელონ საარჩევნო უფლება.

## ხედვა

საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საარჩევნო სერვისებს, და საარჩევნო პროცესის მთლიანობას, სარგებლობს საზოგადოებაში მაღალი ნდობით, თავის საქმიანობაში მუდმივად ნერგავს ინოვაციებს და საარჩევნო გარემოს განვითარებაზე ორიენტირებულ ინიციატივებს. საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველფს მართვის ეფექტურობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული შესაძლებლობების მუდმივ ზრდას.

## პრინციპები

თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად საარჩევნო ადმინისტრაციის სახელმძღვანელო პრინციპებია:

### **დამოუკიდებლობა**

საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც მოქმედებს მხოლოდ კანონის ფარგლებში და არ ექვევა პოლიტიკური გავლენის ქვეშ.

### **გამჭვირვალობა**

საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული სხვა მხარეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საკუთარი საქმიანობის ღიაობას.

### **პროფესიონალიზმი**

საარჩევნო ადმინისტრაცია საქმიანობას ახორციელებს კვალიფიციური, კომპეტენტური ადამიანური რესურსებით.

### **ანგარიშვალდებულება**

საარჩევნო ადმინისტრაცია პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებებზე და შესაბამის ინსტიტუციებსა და ამომრჩევლებს რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

### **ინკლუზიურობა**

საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს შექმნას.

## საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმა

### სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ინსტიტუციური გამლიერება

საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცება, ეფექტური საბიუჯეტო პოლიტიკის და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრება, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანა.

სტრატეგიული მიზანი	სტრატეგიული ამოცანა	სტრატეგიული საქმიანობა
<b>მიზანი 1: ეფექტური მართვის უზრუნველყოფა</b>  ორგანიზაციის პოლიტიკის, სტრუქტურისა და პროცედურების დახვეწა. საქმიანობის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სრულყოფა. შიდა კომუნიკაციის არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება.	<b>ამოცანა 1:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის მართვის სრულყოფა	<b>საქმიანობა 1:</b> არსებული სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და ანგარიშგების წესის გადახედვა-დახვეწა  <b>საქმიანობა 2:</b> საქმიანობის აუდიტის, მონიტორინგისა და შეფასების ახალი მექანიზმების დანერგვა  <b>საქმიანობა 3:</b> ცესკოს წევრების როლის გაზრდა საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიის განხორციელებაში
	<b>ამოცანა 2:</b> არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების ზრდა, საქმიანობის სისტემურობის უზრუნველყოფა	<b>საქმიანობა 1:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის სამუშაო კონცეფციის შემუშავება
	<b>ამოცანა 3:</b> ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა	<b>საქმიანობა 1:</b> ცესკოს აპარატის ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა  <b>საქმიანობა 2:</b> ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტურობის შეფასების სისტემის შექმნა
	<b>ამოცანა 4:</b> შიდა კომუნიკაციის პროცესის დახვეწა	<b>საქმიანობა 1:</b> ცესკოსა და სსკ-ებს შორის კომუნიკაციის სისტემის გაუმჯობესება საარჩევნო და არასაარჩევნო პერიოდში  <b>საქმიანობა 2:</b> ცესკოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციის სისტემის გაუმჯობესება

	<p><b>ამოცანა 5:</b> ეფექტური საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> არჩევნების ხარჯების ეფექტურობის მუდმივი ანალიზის სისტემის დანერგვა</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> სსკ-ში ფინანსების მართვის, შესყიდვის, ბუღალტრული აღრიცხვის, საინვენტარიზაციო პროცესის გაუმჯობესება</p>
	<p><b>ამოცანა 6:</b> ორგანიზაციული რისკების მართვის სისტემის სრულყოფა</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> ორგანიზაციული რისკების მართვის პროცედურების შემუშავება და დანერგვა</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> რისკების მართვის რეგულარული მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა</p>
	<p><b>ამოცანა 7:</b> ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება</p>
<p><b>მიზანი 2:</b> ადამიანური რესურსების განვითარება</p> <p>ადამიანური რესურსების თანამედროვე მართვის სისტემის შექმნა, თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების ზრდა, ეფექტური სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა.</p>	<p><b>ამოცანა 1:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის პოლიტიკის შემუშავება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნების ეფექტური მექანიზმების დანერგვა</p>
	<p><b>ამოცანა 2:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> თანამშრომელთა გადამზადების სისტემის შექმნა</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> მენტორინგის ინსტიტუტის დანერგვა</p> <p><b>საქმიანობა 3:</b> საორიენტაციო ტრენინგების სისტემის შემუშავება-დანერგვა</p> <p><b>საქმიანობა 4:</b> კონფერენციებში და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა</p> <p><b>საქმიანობა 5:</b> სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობა</p>

<p><b>მიზანი 3: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება</b></p> <p>ორგანიზაციის აღჭურვა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.</p>	<p><b>ამოცანა 1:</b> საოლქო საარჩევნო კომისიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> სსკ-ების VPN ქსელით უზრუნველყოფა</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> სსკ-ების უზრუნველყოფა ხაზინის ელექტრონული პროგრამით</p> <p><b>საქმიანობა 3:</b> სსკ-ების სამეურნეო-სარემონტო სამუშაოების გეგმის შემუშავება და განხორციელება</p>
	<p><b>ამოცანა 2:</b> ყველასთვის ხელმისაწვდომი არჩევნების უზრუნველყოფა</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> თვითმმართველობის ორგანოებთან რეგულარული მუშაობა საარჩევნო უბნების ადაპტაციის მიზნით</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> შშმ პირების საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინება საარჩევნო უბნების აღჭურვის პროცესში</p> <p><b>საქმიანობა 3:</b> ცესკოს ვებ-გვერდის ადაპტირება უსინათლო ამომრჩევლისთვის</p>
	<p><b>ამოცანა 3:</b> ელექტრონული მართვის სისტემის დახვეწა</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> ადმინისტრაციის საინფორმაციო ბანკის (მონაცემთა ბაზა საძიებო სისტემით) შექმნა</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> ადმინისტრაციის ელექტრონული დოკუმენტების მართვის სისტემის შექმნა</p> <p><b>საქმიანობა 3:</b> საარჩევნო პროცესებში თანამედროვე ელექტრონული პროგრამების შექმნა, ჩართვა და გამოყენება</p> <p><b>საქმიანობა 4:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების პროგრამის უზრუნველყოფა ადმინისტრაციის ბაზაზე</p> <p><b>საქმიანობა 5:</b> ინფორმაციის ელექტრონულ ფორმატში შენახვისა და განადგურების წესების შემუშავება</p> <p><b>საქმიანობა 6:</b> ადმინისტრაციის ქონების ელექტრონულ ფორმატში აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესება</p> <p><b>საქმიანობა 7:</b> საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის განახლება</p> <p><b>საქმიანობა 8:</b> არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემა „არმასის“ სრულყოფა</p>

		<p><b>საქმიანობა 9:</b> სერვერული ნაწილის განახლება და მოცულობითი ინფორმაციის შენახვის შესაძლებლობის გაზრდა</p> <p><b>საქმიანობა 10:</b> ცესკოს ადმინისტრაციული შენობის Wi-Fi ქსელით სრულად დაფარვა</p>
	<p><b>ამოცანა 4:</b> ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> კიბერ შეტევებისგან დამცავი სისტემის გაუმჯობესება</p>
	<p><b>ამოცანა 5:</b> საუბნო საარჩევნო კომისიების განთავსების გეგმის შემუშავება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის მექანიზმების შექმნა საუბნო საარჩევნო კომისიების შესაფერის შენობებში განთავსების მიზნით</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> საუბნო საარჩევნო კომისიების განთავსების ალტერნატიული საშუალებების განსაზღვრა</p>
<p><b>მიზანი 4: იმიჯის განმტკიცება</b></p> <p>ამომრჩევლებში და სხვა ჩართულ მხარეებში საარჩევნო ადმინისტრაციისადმი ნდობის დონის ამაღლება. არჩევნების მართვის სფეროში ადმინისტრაციის მიერ საკონსულტაციო-საექსპერტო მომსახურების გაწევით რეგიონულ ლიდერად პოზიციონირება.</p>	<p><b>ამოცანა 1:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის ეფექტური საიმიჯო კამპანიის წარმოება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> საიმიჯო-სარეკლამო კონცეფციის შექმნა</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> ცესკოს ვებ-გვერდის განახლება</p>
	<p><b>ამოცანა 2:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის რეგიონალურ ლიდერად პოზიციონირება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ახალი პროექტებისა და პროგრამების განხორციელება</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> საარჩევნო ადმინისტრაციების ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის მასპინძლობა</p>

**სტრატეგიული პრიორიტეტი 2: სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება**

*საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლება, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა.*

სტრატეგიული მიზანი	სტრატეგიული ამოცანა	სტრატეგიული საქმიანობა
<p><b>მიზანი 1: სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება</b></p> <p>ამომრჩეველთა ცნობიერებისა და სამოქალაქო ჩართულობის ამაღლება ეფექტური და უწყვეტი საგანმანათლებლო კამპანიის საშუალებით.</p>	<p><b>ამოცანა 1: ამომრჩეველთა ინფორმირება და განათლება</b></p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> საინფორმაციო კამპანიის წარმოება საარჩევნო პერიოდში</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> ახალგაზრდა ამომრჩევლისთვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება</p> <p><b>საქმიანობა 3:</b> განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სპეციალური საარჩევნო-სასწავლო კურსის მიწოდება</p> <p><b>საქმიანობა 4:</b> პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ შემუშავება და განხორციელება</p> <p><b>საქმიანობა 5:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების სკოლის დაარსება</p> <p><b>საქმიანობა 6:</b> მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ამომრჩევლებისთვის საინფორმაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელება</p> <p><b>საქმიანობა 7:</b> საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩევლების ინფორმირების ეფექტური მექანიზმების განსაზღვრა</p> <p><b>საქმიანობა 8:</b> ეთნიკური უმცირესობებისთვის საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება</p> <p><b>საქმიანობა 9:</b> შშმ ამომრჩევლებისთვის საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება</p>

<p><b>მიზანი 2: საარჩევნო კულტურის განვითარება</b></p> <p>ჩართული მხარეებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის კრეატიული სამოქალაქო-საგანმანათლებლო პროექტების შემუშავება და განხორციელება, არჩევნების სფეროში საზოგადოების ცნობიერების და კულტურის ამაღლება.</p>	<p><b>ამოცანა 1:</b> სასწავლო პროგრამების შეთავაზება ჩართული მხარეებისთვის და ამომრჩევლებისთვის</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> საინფორმაციო / საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება პოლიტიკური პარტიებისთვის/საარჩევნო სუბიექტებისთვის</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> საინფორმაციო / საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება არასამთავრობო ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის</p> <p><b>საქმიანობა 3:</b> საინფორმაციო / საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისთვის</p> <p><b>საქმიანობა 4:</b> საინფორმაციო / საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება მედია საშუალებებისთვის</p> <p><b>საქმიანობა 5:</b> სხვადასხვა ორგანიზაციებში / დაწესებულებებში შიდა არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა</p>
	<p><b>ამოცანა 2:</b> ფართო საზოგადოებისთვის არჩევნების პოპულარიზაციისკენ მიმართული წამახალისებელი აქტივობების განხორციელება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> კონკურსების ჩატარება</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> ღონისძიებების ორგანიზება საარჩევნო თემატიკაზე</p> <p><b>საქმიანობა 3:</b> ღია კარის დღეების ორგანიზება საარჩევნო ადმინისტრაციაში</p>
<p><b>მიზანი 3: სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა</b></p> <p>საარჩევნო პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის ზრდის უზრუნველსაყოფად სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა.</p>	<p><b>ამოცანა 1:</b> საგრანტო კონკურსები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> კონკურსის ორგანიზების წესის დახვეწა</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა</p> <p><b>საქმიანობა 3:</b> დაფინანსებული პროექტების მონიტორინგის მექანიზმების დახვეწა</p>
	<p><b>ამოცანა 2:</b> სამოქალაქო საზოგადოებასთან საკონსულტაციო მექანიზმების გაძლიერება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან და საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებულ სამუშაო ჯგუფებთან (შშმპ, გენდერი, ეთნიკური უმცირესობები) სამუშაო ფორმატების დახვეწა</p>

**სტრატეგიული პრიორიტეტი 3: საარჩევნო გარემო**

*საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა, კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობა.*

სტრატეგიული მიზანი	სტრატეგიული ამოცანა	სტრატეგიული საქმიანობა
<p><b>მიზანი 1: სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწაში მონაწილეობა</b></p> <p>საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან, საკანონმდებლო წინადადებების მომზადება.</p>	<p><b>ამოცანა 1:</b> ცესკოს ექსპერტული მონაწილეობა საკანონმდებლო წინადადებების მომზადებაში</p> <p><b>ამოცანა 2:</b> გამოცემული სამართლებრივი აქტების შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან და კარგ პრაქტიკასთან</p> <p><b>ამოცანა 3:</b> საარჩევნო დავების განხილვის პროცესის გაუმჯობესება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> ჩატარებული არჩევნების სამართლებრივი ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> არჩევნების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება</p> <p><b>საქმიანობა 1:</b> არსებული საჭიროებების გამოვლენა/კარგი პრაქტიკის შესწავლა</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> სამართლებრივ აქტებში საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის მაქსიმალურად გათვალისწინება</p> <p><b>საქმიანობა 1:</b> ცესკოსა და სსკ-ების დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესაძლებლობების გაძლიერება</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> საკანონმდებლო საკითხებზე, საარჩევნო დავებზე ტრენინგ-პროგრამების უზრუნველყოფა საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე</p>
<p><b>მიზანი 2: არჩევნების მთლიანობის (Integrity) უზრუნველყოფა</b></p> <p>საარჩევნო პროცესის მთლიანობის უზრუნველყოფა არჩევნებთან დაკავშირებული საფრთხეების თავიდან არიდების მიზნით.</p>	<p><b>ამოცანა 1:</b> არჩევნების მთლიანობის მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> უსაფრთხო საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა</p>



<p><b>მიზანი 3: ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა</b></p> <p>ყველასთვის თანაბარი და ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს შექმნა, ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების არსებული მექანიზმების დახვეწა.</p>	<p><b>ამოცანა 1:</b> ყველასთვის ხელმისაწვდომი პირობების უზრუნველყოფა</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> ცესკოს საინფორმაციო კამპანიის დროს შშმ პირების ინფორმირება მათთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ</p>
	<p><b>ამოცანა 2:</b> ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის უზრუნველყოფა</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> ეთნიკური უმცირესობებისთვის საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის განხილვა სამუშაო ჯგუფის ფორმატში</p> <p><b>საქმიანობა 3:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის რესურსების განვითარება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში</p> <p><b>საქმიანობა 4:</b> სპეციალური ტრენინგ-მოდულის შემუშავება საოლქო და საუბნო კომისიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის მათი არჩევნებში ჩართულობის მიზნით</p>
	<p><b>ამოცანა 3:</b> ჩართულ მხარეებთან საკონსულტაციო მექანიზმების დახვეწა</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის განხილვა სამუშაო ჯგუფის ფორმატში</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> სამუშაო ფორმატების დახვეწა ჩართულ მხარეებთან (პარტიები/სუბიექტები, მედია, სხვა საჯარო დაწესებულებები, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები)</p>
<p><b>მიზანი 4: გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა</b></p> <p>საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ქალთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის წახალისება.</p>	<p><b>ამოცანა 1:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული პოლიტიკის შემუშავება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება გენდერის მიმართულებით</p>
	<p><b>ამოცანა 2:</b> ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> სასწავლო პროგრამების შექმნა ქალი კანდიდატებისთვის</p>
	<p><b>ამოცანა 3:</b> ამომრჩევლის ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებში</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> გენდერული თანასწორობის საკითხის გათვალისწინება საგრანტო კონკურსების ორგანიზებისას</p>

<p><b>მიზანი 5: საარჩევნო ოლქებისა და უბნების საზღვრების დადგენის პროცესის დახვეწა</b></p> <p>ამომრჩეველთა აქტიური საარჩევნო უფლების დაუბრკოლებელი რეალიზაცია.</p>	<p><b>ამოცანა 1:</b> საზღვრების დაზუსტებისა და დამისამართების პროცესში შესაბამის უწყებებთან კოორდინაციის სისტემურობის უზრუნველყოფა</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> ოლქის/უბნის საზღვრების დაზუსტების მიზნით თანამშრომლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან / სერვისების განვითარების სააგენტოსთან / საჯარო რეესტრთან</p>
	<p><b>ამოცანა 2:</b> სსკ-ების მიერ პრობლემური მისამართების ადგილზე გადამოწმების მექანიზმების შემუშავება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> სსკ-ებისთვის სამოქმედო ინსტრუქციის შემუშავება</p>

**სტრატეგიული პრიორიტეტი 4: საარჩევნო ოპერაციები**

*არჩევნების ორგანიზება მაღალპროფესიულ დონეზე, არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ საზოგადოების დროული ინფორმირება, ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა.*

სტრატეგიული მიზანი	სტრატეგიული ამოცანა	სტრატეგიული საქმიანობა
<p><b>მიზანი 1: საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება</b></p> <p>საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონის ამაღლება, საარჩევნო ადმინისტრაციის რესურსების განვითარება</p>	<p><b>ამოცანა 1:</b> არჩევნების ორგანიზება, ჩატარება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> არჩევნების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარის/მასალების შეძენა</p>
	<p><b>ამოცანა 2:</b> საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო პროგრამების განახლება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> განხორციელებული სასწავლო პროგრამების შეფასების სისტემის შემუშავება, რეკომენდაციების მომზადება</p> <p><b>საქმიანობა 3:</b> საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის პოტენციურ წევრთა რესურსების განვითარება</p>
	<p><b>ამოცანა 3:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> საარჩევნო ადმინისტრაციის რესურსების განვითარება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> სპეციალური ტრენინგ-მოდულის შემუშავება საოლქო და საუბნო კომისიებში უმცირესობების წარმომადგენელ წევრთათვის მათი არჩევნებში ჩართულობის მიზნით</p>

<p><b>მიზანი 2: არჩევნების შედეგების გასაჯაროება უმოკლეს დროში</b></p> <p>საარჩევნო ადმინისტრაციის შიგნით არჩევნების შედეგების გადაცემის პროცესის სრულყოფა, საზოგადოებისთვის არჩევნების შედეგების დროულად მიწოდება.</p>	<p><b>ამოცანა 1:</b> პროცედურების გამარტივების / ტექნოლოგიური ინოვაციების საშუალებით არსებული პრაქტიკის დახვეწა</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> არსებული პრაქტიკის შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> ჩართული მხარეების მიერ მომზადებულ ანგარიშებში ასახული რეკომენდაციების გათვალისწინება</p> <p><b>საქმიანობა 3:</b> ოლქის შეჯამების მოდულის დამატება არჩევნების მართვის ელექტრონულ სისტემა „არმასში“ არჩევნების შედეგების მიღება-დამუშავებისთვის</p>
<p><b>მიზანი 3: ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდება</b></p> <p>საზოგადოებისთვის დროული და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება, გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.</p>	<p><b>ამოცანა 1:</b> ცესკოს ვებ-გვერდის მორგება ამომრჩევლის და ჩართული მხარეების საჭიროებებზე</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> საარჩევნო ინფორმაციის ერთიანი სტატისტიკური მონაცემების შექმნა/ რეგულარული გამოქვეყნება</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> არჩევნების შედეგების და სხვა სტატისტიკური მონაცემების დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება</p>
	<p><b>ამოცანა 2:</b> სოციალური მედიის აქტიურად გამოყენება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> ცესკოსა და ცესკოს თავმჯდომარის Facebook-ის გვერდების რეგულარული განახლება</p>
	<p><b>ამოცანა 3:</b> საჩივრების რეესტრის წარმოება</p>	<p><b>საქმიანობა 1:</b> პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის საკითხის გათვალისწინება</p> <p><b>საქმიანობა 2:</b> საჩივრების რეესტრის წარმოების პროცესის დახვეწა სსკ-ებში</p>